

# ბედნიერების ტერიტორია
## HAPPINESS AREA

ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია „ქსენონი"
Association of Young Psychologists and Doctors "Xenon"

Government of the United States

PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია „ქსენონის“ პროექტი „ბედნიერების ტერიტორია“ განხორციელდა *„საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პროგრამა სამართლებრივი განათლებისთვის“* (GE CALLS) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამა ხორციელდება ამერიკული ორგანიზაცია PH International-ის ფილიალის მიერ საქართველოში, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს დაფინანსებით.

პროექტი მიზნად ისახავდა ზუგდიდში მცხოვრები მოზარდების პიროვნული ზრდა-განვითარების ხელშეწყობას და ცხოვრების ჯანსაღი წესის სტიმულირებას ახალგაზრდებში. მოზარდების ფსიქო-ემოციური პოტენციალის განვითარება და ჯანსაღი ცხოვრების ქცევითი მოდელების ჩამოყალიბება სპორტის, ხელოვნების (კერძოდ, რაგბისა და თიხაზე მუშაობის) და ტრენინგების საშუალებით მოხდა.

წინამდებარე ჟურნალი, მოზარდების ბედნიერების ტერიტორიაზე ყოფნის ექვსი თვის ქრონიკას ასახავს და მასში მოზარდების, მშობლებისა და პროექტის პერსონალის შთაბეჭდილებებია თავმოყრილი.

ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია „ქსენონი“
Association of Young Psychologists and Doctors "Xenon"

GE CALLS

2016 წელი. ზუგდიდი, საქართველო



2015 წლის 9 ოქტომბერს, ზუგდიდის „არტ გალერეაში" შედგა პროექტის „ბედნიერების ტერიტორია" საზეიმო გახსნა.

პროექტში ჩართულ 30-მდე მოზარდს ეს დღე მიულოცეს ასოციაცია „ქსენონის" თანამშრომლებმა, PH International-ის საქართველოს ფილიალის წარმომადგენელმა, სახელისუფლებო, სამართალდამცავი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგელებმა, მშობლებმა და სკოლის პედაგოგებმა.

ასოციაცია „ქსენონის" თანამშრომლებმა მოწვეულ აუდიტორიას გააცნეს პროექტის კომპონენტები, დაგეგმილი აქტივობები და მოზარდებს გადასცეს შთაბეჭდილებების დღიურები, რომლებიც პროექტში განცდილი ემოციებისა და მიღებული შთაბეჭდილებების ჩასაწერად შეიქმნა.

























# ხელოვნების ჯგუფი







პროექტის ფარგლებში, ხელოვნების ჯგუფის 15 მოზარდისთვის ჩატარდა თიხაზე მუშაობის თეორიული და პრაქტიკული კურსი. 6 თვის მანძილზე, კერამიკოს – რობერტ აბსანძის სახელოსნოში შედგა 55 შეხვედრა. მოზარდებმა მიიღეს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

- ჩამოსხმისა და ამოყვანის მეთოდები
- კერამიკული ნაწარმის გამოწვა
- დამხმარე მასალები
- მოხატვა
- ქართული კერამიკა

მათ ინდივიდუალურად და ჯგუფურად შექმნეს კერამიკული ნაკეთობები. საახალწლოდ და პროექტის დასასრულს კი მოეწყო ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

„როდესაც პირველად „არტ ჰაუსში" გავედი რობერტის ნამუშევრები დავათვალიერე, აღფრთოვანებული დავრჩი ამ ნიჭიერი ადამიანით: სურვილი გამიჩნდა შევხებოდი თიხას და მეც შემექმნა, თუნდაც პატარა ნივთი, რომელშიც ჩემს ემოციებს ჩავაქსოვდი. ძალიან მომინდა სამეთუნეო დაზგაზე მუშაობა. ბატონმა რობერტმა ეს სურვილი შემისრულა და პირველი ნაბიჯი გადამადგმევინა, პროცესით საოცრად ვისიამოვნე და შედეგით ორივე კმაყოფილები დავრჩით".

თამთა უბარაშვილი
ხელოვნების ჯგუფის წევრი





2015 წლის 15 ოქტომბერს, ხელოვნების ჯგუფის მოზარდებისთვის ექსკურსია მოეწყო ზუგდიდის არტ-ჰაუსში, სადაც კერამიკოს – რობერტ აბსანძის ნამუშევრებია თავმოყრილი. ხელოვანმა, მოზარდებს ნამუშევრების შექმნის ისტორიაზე უამბო. ამავე დღეს, მოსწავლეები ხელოვნების სახელოსნოს ესტუმრნენ და ის სივრცე დაათვალიერეს, სადაც მომავალში მოუწევდათ მუშაობა.



„თიხასთან ურთიერთობა გვაბრუნებს წინა საუკუნეთა გენეტიკურ ფესვებთან და სასარგებლოა, როგორც თერაპიული და სულიერი, ასევე ესთეტიკური თვალსაზრისით.
ეს პროექტი არის ბავშვებისთვის საკუთარი თავის პოვნის, თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენის და თვითშეფასების საუკეთესო საშუალება"

რობერტ აბსანძე
კერამიკოსი







„თიხასთან პირველი შეხება არის სურვილი იმისა, რომ შექმნა ის, რაც ასოცირდება ხელოვნებასთან. თიხა არის ჩემთვის ერთგვარი სტიქია, რომელიც განიჭებს სიმშვიდეს, გაძლევს შესაძლებლობას,შენი თავი ამ ამპლუაშიც ნახო და გაიცნო ის, რასაც ჩვეულებრივ ვერ წარმოიდგენ; ამავდროულად იძენ იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც არამარტო თიხასთან მუშაობაში, არამედ ცხოვრებაშიც გამოგადგება. გულწრფელად ვიტყვი, არ მეგონა, თიხა ჩემში ასეთ დიდ ემოციებთან თუ იქნებოდა დაკავშირებული. არ მინდა ეს 6 თვე მალე გავიდეს".

თეკლა ჭეჭია
პროექტის მონაწილე

„როდესაც თიხაზე ვმუშაობ, მავიწყდება ყველა პრობლემა, რაც კი იმ დღის მოხდა; თითქოს ჩემი ტკივილგამაყუჩებელი იყოს, ჩემი ტვინი მხოლოდ მასზე კონცენტრირდება. პლიუს, მეგობრებთან ერთად მუშაობაც დიდი ბედნიერებაა - უფრო მეტი ხალისი, მეტი სიყვარული ... აქ არის მასწავლებელი, რომელიც სულ გიღიმის და ცდილობს გაგამხიარულოს, როცა რაღაც არ გამოგდის, გასწავლის და გამოსავლის პოვნაში გეხმარება. პროექტის სახელწოდება სწორადაა შერჩეული, ეს ადგილი მართლაც ყოველი ჩვენგანის ბედნიერების ტერიტორიაა... მადლობა პროექტის ავტორებს, ასოციაცია „ქსენონს", რომელმაც უდიდესი საჩუქარი გაგვიკეთა იმით, რომ ეს 6 თვე გვაჩუქა. მაგრამ მეორეს მხრივ, ძალიან მწყდება გული, რომ ასე მალე გადის დრო..."

მარიამ ჭიჭინაძე
პროექტის მონაწილე

„ყოველთვის მაინტერესებდა თიხაზე მუშაობა. ამიტომ, როგორც კი შესაძლებლობა მომეცა რომ შემესწავლა ეს საქმიანობა და ხელოვნება, შანსი ხელიდან არ გავუშვი. პირველი შეხვედრის, თიხასთან პირველი შეხების და საკუთარი ძალების მოსინჯვის თავისუფალი გაკვეთილი იყო, სადაც ნებისმიერი რამის გაკეთება შეგეძლო. მომდევნო გაკვეთილებიდან კი დავიწყეთ კონკრეტულ დეტალებზე მუშაობა: ჭურჭლის ძირის კეთება, ქოთნის აშენება, სიმეტრიის დაცვა და სხვა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა ადვილი არ არის და გარკვეულ სირთულეებთან მიწევს შეხება, მაგრამ ეს ყოველივე გარკვეულ წილად სიამოვნებას მანიჭებს, იმიტომ რომ ვსწავლობ იმას, რაც არ ვიცი და მივიწევ წინ".

ალიკა სალია
ხელოვნების ჯგუფის წევრი

„როდესაც პირველად გავიგე პროექტის, სახელად „ბედნიერების ტერიტორიის" შესახებ, გამეცინა, რა ბედნიერების მომტანია მეთქი თიხაზე მუშაობა, მაგრამ ახლა როცა ამ სიტყვებს ვიხსენებ, მრცხვენია. თავიდან ვორჭოფობდი პროექტში ჩართვაზე, მაგრამ გავრისკე და ჩავეწერე, რადგან ჩემი აზრით თითოეულმა ადამიანმა უნდა გარისკოს ცხოვრებაში და თითოეული ადამიანის ცხოვრებაში უნდა იყოს რაღაც განსხვავებული. ჩემს შემთხვევაში კი ეს იყო თიხის ხელოვნება, და ამ გადაწყვეტილებით ვამაყობ! სახელოსნოში მოსვლა დიდ ბედნიერებას მანიჭებს: მსიამოვნებს, როცა ვხედავ მეგობრების სახეზე აღბეჭდილ ღიმილს და თითოეულის მონდომებას. ამ პროექტმა ძალიან ბევრი დადებითი ემოცია და შთაბეჭდილება დამიტოვა, შემიძინა ახალი მეგობრები. თიხამ მასწავლა, რომ სრულიად არაფრისგან შეიძლება ულამაზესი ნამუშევრის შექმნა და წარმატების მიღწევაც. ეს ცოდნა არამარტო პროექტის ფარგლებში გამომადგება, არამედ ცხოვრებაშიც. მთავარია, გვჯეროდეს და არასოდეს დავნებდეთ. მე დღეს თამამად და სიამაყით ვიტყვი - ჩვენ ბედნიერები ვართ ბედნიერების ტერიტორიაზე!"

ნათია ბუკია
ხელოვნების ჯგუფის წევრი












„დღეს, მე ვიცი თუ როგორ ვიმუშაო თიხაზე, როგორ შევძინო მას ფორმა და სული. სახელოსნოში მუშაობა სიმშვიდის და დადებით ემოციებს მგვრის, თიხაზე მუშაობის პროცესი გრძნობებზე კონცენტრაციის საშუალებას მაძლევს".

თამთა უზარაშვილი

# რაგბი

პროექტის ფარგლებში ჩატარდა:

- 63 პრაქტიკული ვარჯიში ბუნებრივ საფარიან მოედანზე.
- მოხდა გუნდის მონაწილეების ეკიპირება სპორტული სამოსითა და დამცავი კაპებით.
- 6 თეორიული მეცადინეობა ასოციაცია „ქსენონის“ ოფისში, სადაც მოზარდები მულტიმედიური საშუალებების გამოყენებით ეცნობოდნენ წარმატებულ თამაშებს, სასწავლო ვიდეო-გაკვეთილებს.
- 6 თვის მანძილზე რაგბის გუნდს ეწვია ორი სტუმარი თბილისიდან, რომელთაც ჩაატარეს ღია ვარჯიშები და გუნდს საჩუქრად გადასცეს ბურთები და მაისურები.
- საბავშვო გუნდებთან ოთხი ამხანაგური გასვლითი თამაში ქალაქებში: ზესტაფონი, ბათუმი/გონიო, სენაკი, ფოთი. ტრანსპორტირება და კვება უზრუნველყოფილი იქნება პროექტის ფარგლებში.

„რაგბი სპორტია რომელიც ძალიან მიყვარს. ის ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა. ის გასწავლის თუ როგორი გძნობაა ნატკენ ადგილზე ტკენის დამატება, გასწავლის გუნდურობას და ძმობას. გუნდურად თამაშის აყოლას და ბევრ რამეს, რაც ცხოვრებაში გამოგადგება. ტკივილის მოთმენას, თავის დაზოგვას. შენი გუნდელების ბოლომდე თამაშს რომ ხედავ, შენც სურვილი გიჩნდება ბოლომდე ითამაშო და დაიცვა შენი ქალაქის თუ ქვეყნის ღირსება. არ ფიქრობ დადო ლეილო, ფიქრობ ბოლო შედეგზე! ჯიგარი სპორტია რაგბი! აქ არ არსებობს სუსტი და ძლიერი, თამაშის დაწყებამდე არაფერია გადაწყვეტილი. თამაში, რომელიც მოთამაშეების ნებით შეიძლება გაგძელდეს უსასრულობამდე. ეს სპორტია, სადაც არის მარტო მორაგბეები, არამედ გულშემატკივრებიც პატივს სცემენ ერთმანეთს. თუ დაკვირდებით, მიხვდებით რომ რომელიმე თამაშზე ფანებისთვის ადგილები დაყოფილი არაა, ისინი ტაშს უკრავენ და პატივს სცემენ ყველა მორაგბეს, მნიშვნელობა არ აქვს ის მისი ქვეყნის მოთამაშე იქნება თუ არა. და მე მიხარია, რომ ამ დიდი ოჯახის პატარა წევრი ვარ“.

ბაჩი მიბონია
რაგბის გუნდის წევრი



არ დამავიწყდება პირველი შეხვედრის და უჩვეულოდ სასიამოვნო განცდები. გავიცანი ძალიან მაგარი მწვრთნელი - დათო. ვარჯიშებზე მინახავს მისი სამართლიანი გაბრაზებაც, სიმკაცრეც, შექებაც და გახარებაც. მართალი გითხრათ, აქ მოხვედრამდე რაგბი უაზრო სპორტი მეგონა; დღეს კი მიმაჩნია, რომ რაგბი მხოლოდ სპორტი არ არის, რაგბი ცხოვრების აქტიური წესია.

პროექტმა „ბედნიერების ტერიტორიის" ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი შეცვალა - მე უფრო აქტიური და ძლიერი გავხდი, მეტი მეგობარი შევიძინე და ჩემი ცხოვრებაც დღეს უკეთესია, ვიდრე ადრე.

ნიკა ყვარაცხელია
რაგბის გუნდის წევრი







„პროექტმა საშუალება მოგვცა გაგვეცნო თანატოლები და შემეძინა მეგობრები. „ბედნიერების ტერიტორიაზე" ვისწავლე რაგბის თამაში და შემიყვარდა ეს სპორტი. ჩვენმა მწვრთნელმა - დავით დოგებუაძემ რაგბის თამაშთან ერთად გვასწავლა ერთობა, მეგობრობა, გატანა, გუნდურობა. მადლობა პროექტს კარგი ფორმებისთვის და ამხანაგური გასვლითი თამაშების ორგანიზებისთვის, სადაც მე ნამდვილ რაგბისტად ვგრძნობდი თავს. მინდა ეს პროექტი გაგრძელდეს!"

გიორგი (ჩილო) ჩილოაჩავა
რაგბის გუნდის წევრი

„ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პროექტმა, სახელად „ბედნიერების ტერიტორია". მე ვარჩიე რაგბი და ჩემი არჩევანით ვამაყობ. თითოეული აქ გატარებული დღე ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. აქ გავიცანი კარგი ბიჭები და ერთმანეთთან დავმეგობრდით. იმედია პროექტის დამთავრების შემდეგ, მომავალშიც შემეძლება მათთან ერთად რაგბის თამაში".

ნიკა შამუგია
რაგბის გუნდის წევრი

# გუნდის ეკიპირება










# თამაში ზესტაფონში

2015 წლის 22 ნოემბერს რაგბის გუნდმა ამხანაგური თამაში ზესტაფონში ჩაატარა. შეჯიბრი ორ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში გაიმართა.

*„როცა პროექტისთვის ბავშვების შერჩევა ხდებოდა, ბიჭების უმრავლესობა რაგბს ირჩევდა და ვგრძნობდი, რომ ეს, ჩვენს ქალაქში რაგბის განვითარების წინაპირობა იყო. პირველ ვარჯიშზე ისინი საკმაოდ მორიდებული და ფიზიკურად მოუმზადებლები იყვნენ, თუმცა ვხედავდი მთავარს - მონდომებას და ჟინით აღსავსე თვალებს. ერთი თვის თავში ბიჭები უკვე თითქმის მაქსიმალურ ხარისხში ასრულებდნენ ფიზიკურ ვარჯიშებს. ასევე ვგრძნობდი, რომ ბიჭები დამეგობრდებოდნენ და ნელ-ნელა იკვრებოდა ერთი დიდი სარაგბო ოჯახი.*
*როდესაც ზესტაფონში პირველი ამხანაგური თამაში ვითამაშეთ, ბავშვებზე მეტად მე ვნერვიულობდი, ვფიქრობდი, რომ გამოცდილ მოწინააღმდეგესთან დიდი ანგარიშით დავმარცხდებოდით, თუმცა ღირსეულად ვითამაშეთ, დიდი გამოცდილება შევიძინეთ და ბიჭების „სარაგბო ნათლობაც" წარმატებით შედგა".*

*დავით დგებუაძე*
*მწვრთნელი*

















# თამაში ხობში

2015 წლის 12 დეკემბერს, რაგბის გუნდმა მორიგი ამხანაგური შეხვედრა ხობელ თანატოლებთან გამართა. მატჩები, სამ განსხვავებულ ასაკობრივ ჯგუფებში (2000; 2001-2002; 2003 წლიანები) გაიმართა და საკმაოდ დაძაბული და საინტერესო იყო.



# თამაში ფოთში

2016 წლის 28 თებერვალს, პროექტის ფარგლებში, ფოთში გაიმართა რაგბის ამხანაგური თამაში ორ ასაკობრივ კატეგორიაში. მიუხედავად ფოთელი მოზარდების გამარჯვებისა, ზუგდიდელმა მოზარდებმა დიდი გამოცდილება მიიღეს და პირველად ითამაშეს მაღალი სტანდარტის სათამაშო მოედანზე.









# თამაში გონიოში

2016 წლის 06 მარტს, გონიოში შედგა პროექტის „ბედნიერების ტერიტორია“ რაგბის გუნდისა და ბათუმელი თანატოლების ამხანაგური თამაში. თამაში ორ ასაკობრივ კატეგორიაში გაიმართა. ქარმა, წვიმამ და ავდარმა ვერ მოახდინა გავლენა გუნდის განწყობაზე და უმცროსი ასაკობრივი გუნდის გამარჯვებით დასრულდა.
ნორჩ სპორტსმენებს გულშემატკივრობდნენ ხელოვნების ჯგუფის მოზარდები და მათ მშობლები.

*„ასეთ ამინდში თამაში ძალიან რთულია, მით უმეტეს გამარჯვება. მე ვამაყობ, რომ ჩემი შვილი ერთ-ერთი თქვენგანია. ყოჩაღ!“*

*ნათია ნადარაია*
*მშობელი*





# თეორიული/ვიდეო გაკვეთილები

ასოციაცია „ქსენონის“ ოფისში ჩატარებულ თეორიულ/ვიდეო გაკვეთილებზე მოზარდები უცხოენოვანი ვიდეომასალების „რაგბი დამწყებთათვის“ დახმარებით სწავლობდნენ სათამაშო მოედნის სპეციფიკისა და თამაშის წესებს, ცალკეული პოზიციების დასახელებებსა და ფუნქციებს.

შეხვედრებზე განიხილებოდა უსაფრთხოების წესები, მსაჯთა ჟესტიკულაციის მნიშვნელობები, ნაჩვენები იყო ეროვნული ნაკრების თამაშების კრებულები, სათამაშო პოზიციების მიხედვით ის სპეციფიკური დეტალები, რომლის ცოდნაც აუცილებელია თითოეული მონაწილისთვის.

2016 წლის 6 თებერვალს, ასოციაცია „ქსენონის“ ოფისში საქართველო/გერმანიის მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია შედგა, სადაც გუნდის წევრებმა ქსენონის ოფისის თბილ და მეგობრულ გარემოში უგულშემატკივრეს ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს.













# სტუმრები













2015 წლის 28 ნოემბერს, პროექტ „ბედნიერების ტერიტორიის“ რაგბის გუნდის მონაწილეებს, ღია ვარჯიში ჩაუტარა სარაგბო კლუბ „ხალიბების“ მწვრთნელმა, ბ-მა ვახტანგ მშვიდობაძემ. მწვრთნელმა ყურადღება გაამახვილა უსაფრთხოების საკითხებზე თამაშის დროს, თამაშის ეფექტურობის განმსაზღვრელ ფაქტორებსა და პრინციპებზე. ამასთან, მის მიერ გუნდს საჩუქრად გადაეცა სავარჯიშო ინვენტარი და მაისურები (გუნდის ნორჩი წევრებისთვის).

2015 წლის 31 დეკემბერს, ნორჩ რაგბისტებს თბილისიდან ჩამოსული ჟურნალისტი, საავტორო გადაცემა „რაგბი აქაურობას“ წამყვანი – ლევან ჯობავა ესტუმრა. მან რაგბის გუნდს საჩუქრად 14 ბურთი გადასცა.

# საახალწლო კრეატიული ვორქ-შოფები

2016 წლის დადგომამდე ხელოვნების ჯგუფის მოზარდები ასოციაცია „ქსენონის“ ოფისში შუალედური გამოფენისთვის ინტენსიურად ემზადებოდნენ. ფასილიტატორის დახმარებით მათ შექმნეს საახალწლო სათამაშოები, ორიგამები და მისალოცი ბარათები.











# შუალედური, საახალწლო გამოფენა

2015 წლის 29 დეკემბერს, „ბედნიერების ტერიტორიის“ მოზარდები, მათი მეგობრები და ოჯახის წევრები ზუგდიდის „არტ-გალერეაში“ შეიკრიბნენ. ხელოვნების ჯგუფის ნამუშევრების საახალწლო გამოფენა/გაყიდვა, სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული რაგბის მოთამაშეების გამოვლენა/დაჯილდოვება, სახალისო ვიქტორინა, ცეკვა, სიცილი და ბევრი პოზიტივი – აი, რა ხდებოდა ბედნიერების ტერიტორიაზე.
შეხვედრის ბოლოს საზეიმოდ დაიჭრა ბედნიერების ტორტი.













# პიროვნული ზრდა-განვითარების ტრენინგები

პროექტის მიმდინარეობის მანძილზე, რაგბის გუნდისა და ხელოვნების ჯგუფის წევრებმა ფსიქოლოგთან გაიარეს ხუთეტაპიანი ტრენინგი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, რომელიც მოიცავდა საკითხებს:

- მავნე ჩვევები,
- სწორი კვება,
- საკუთარ ემოციებთან და პრობლემებთან გამკლავება,
- კონფლიქტების ფსიქოლოგია,
- ეფექტური კომუნიკაციები.





















## ჩანაწერი მოსწავლეების დღიურში

14 ოქტომბერი, 2015

„ორს 10 წთ აკლდა, როცა შევედი „ჯენსონის“ ოფისში. ერთი წუთი მქონდა ოთახში ფეხს როდის შევდგამდი. ამ პროექტის მიმართ დიდი ინტერესი მქონდა და რა თქმა უნდა, ემოციებით ვარ დამუხტული. ეს დღე უბრალოდ ტრენინგი არ იყო, ბევრი ჩემი თანატოლი და მომავალი „კოლეგა“ გავიცანი. დიდი ხალისით და სპეციფიკური გამოცდა: ვითამაშეთ თამაშები, ვისაუბრეთ ჩვენს ინტერესებზე, ჰობზე, სურვილებზე, შევქმენით ჩვენი პროექტის კონცეფცია, რომელიც თანასწორობის პრინციპებზე დავაფუძნეთ. ძალიან მომეწონა ჩვენი ენერგიული და მხიარული ტრენერები. დღეს პირველი ნაბიჯი თამამად შევდგი „ბედნიერების ტერიტორიაზე“ და ეს ძალიან მომეწონა“.

12 დეკემბერი, 2015

„აქ ყველა მეგობრულია, ყველა საყვარელია და მოწყენის საშუალებას არასდროს გაძლევენ. აქ ყოფნის კი დადებითად გმუხტავს, მუდმივად აქტიურ პოზიციაში ხარ - მუშაობ, მსჯელობ, გამოთქვამ საკუთარ აზრს, შეხედულებებს. თუ რამე არ გამოგდის არა უშავს, ცდილობენ დაგეხმარონ, გაგამხნევონ. ბევრ პროექტში მიმიღია მონაწილეობა, თუმცა ეს ყველაფერი განსხვავებულია, რაც ძალიან მომწონს. თამამად ვიტყვი, „ბედნიერების ტერიტორია“ ყველაზე თბილი, მეგობრული და პოზიტიური ადგილია, სადაც თავს მართლა ბედნიერად გრძნობ“.

შარლოტა უბირია

# ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

„– რას ნიშნავს სიყვარული თქვენთვის?
– ქაოსს; ჰარმონიას; ბედნიერებას; ენით აღუწერელია...
– რა ფერია სიყვარული?
– წითელი, ცისფერი, მწვანე, ყვითელი, გამჭვირვალე...“



















„ჩვენ ვქმნით ბედნიერების
ტერიტორიაზე სიყვარულს. პროექტი
გვეხმარება გავიხალისოთ ცხოვრება
და გადავდგათ ნაბიჯი საინტერესო
და შემოქმედებითი ცხოვრებისკენ".

სოფიკო მოლაშხია

Facebook: ბედნიერების ტერიტორია

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲥᲘᲛᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ „ᲥᲡᲔᲜᲝᲜᲘ“

ზუგდიდი, პეტრე უბერის ქ. №1

ტელ:  (0415) 25 40 10

associationxenon@gmail.com